თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 5

ქ. თერჯოლა 31 მარტი 2026 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩხიკვაძე

სხდომას ესწრებოდნენ: 1. ზურაბ ჩხიკვაძე, 2. დავით გოგბერაშვილი, 3.ნინო მახათაძე, 4. გოჩა ვერულაშვილი, 5. მამული კოვზირიძე, 6. ომარი ჯიხვაშვილი, 7. ბადრი ბუცხრიკიძე, 8. მაკა ყიფშიძე, 9. ნატო კვეტენაძე, 10. გიორგი ბერეკაშვილი, 11. სერგი ჯიხვაშვილი, 12. გრიგოლ გიორგაძე

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. სოსო ჩაფიჩაძე, 2. მირზა აფრიდონიძე

კომისიის შემადგენლობა: 14 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 12 წევრი
კვორუმი: 7 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბერის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282608967, 30.03.2026 წ.);

მომხს.: ზ.ჩხიკვაძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 12, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩხიკვაძემ, კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბერის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი-ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ, საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 1383.2 ათასი ლარით და შეადგენს 35846.6 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 110.0 ათასი ლარით (სხვა შემოსავლები 80.0 ათასი ლარი (დასუფთავების მოსაკრებელი) და მიზნობრივი გრანტი 30.0 ათასი ლარი).

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 1493.2 ათასი ლარით (გრანტი გაიზარდა 1383.2 ათასი ლარით, სხვა შემოსავლები გაიზარდა 60.0 ათასი ლარით (ბანკის პროცენტი 30.0 ათასი ლარი და ჯარიმები 30,0 ათასი ლარი) და არაფინანსური აქტივები გაიზარდა 50.0 ათასი ლარით).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 210.0 ათასი ლარით. მ/შორის:

საკრებულოს დაფინანსება შემცირდა 35.0 ათასი ლარით.

მერიის დაფინანსება შემცირდა 130.0 ათასი ლარით.

კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი შემცირდა 15.0 ათასი ლარით.

სოციალური დაცვა შემცირდა 30.0 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 1593.1 ათასი ლარით. მ/შორის:

მერიის დაფინანსება გაიზარდა 130.6 ათასი ლარით.

სარეზერვო ფონდის დაფინანსება გაიზარდა 100.0 ათასი ლარით.

საბინაო კომუნალური მეურნეობის დაფინანსება გაიზარდა 231.0 ათასი ლარით.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამების დაფინანსება გაიზარდა 60.0 ათასი ლარით.

დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 200.0 ათასი ლარით.

სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დაფინანსება გაიზარდა 16.0 ათასი ლარით.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსება გაიზარდა 180.0 ათასი ლარით.

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება გაიზარდა 30.0 ათასი ლარით.

საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირების დაფინანსება გაიზარდა - 62.6 ათასი ლარით (სატრანსპორტო ხარჯი).

სპორტული ღონისძიებების დაფინანსება გაიზარდა 58.0 ათასი ლარით.

სპორტული სკოლის დაფინანსება გაიზარდა 100.0 ათასი ლარით.

სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის დაფინანსება გაიზარდა 55.0 ათასი ლარით.

სახელოვნებო სკოლების დაფინანსება გაიზარდა 50.0 ათასი ლარით.

ბიბლიოთეკების დაფინანსება გაიზარდა 20.0 ათასი ლარით.

კულტურის სახლების დაფინანსება გაიზარდა 55.0 ათასი ლარით.

მუზეუმების დაფინანსება გაიზარდა 10.0 ათასი ლარით.

ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება გაიზარდა 10.0 ათასი ლარით.

რელიგიური ორგანიზაციების ხელშეყწობა გაიზარდა 20.0 ათასი ლარით.

საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსება გაიზარდა 5.0 ათასი ლარით.

სოციალური დაცვა გაიზარდა 200.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: კომისიის ყველა წევრმა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 12 , წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბერის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე

ზურაბ ჩხივაძე